



KA040197165107918

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ-ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ 594/სა

29 / ოქტომბერი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევითი დამოუკიდებელი კომისიის შექმნის მიზნით, განცხადებისა და შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის თარიღის განსაზღვრისა და კომისიაში განევრების პირობების შესახებ

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 18¹ მუხლის მე-3 პუნქტის, „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის N81 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-8 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის № 181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევითი დამოუკიდებელი კომისიის (შემდგომში - კომისია) შექმნის მიზნით, კომისიაში განევრების მსურველ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს, მიეცეთ შესაძლებლობა საჯარო სამსახურის ბიუროში წარმოადგინონ განცხადება და შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია არაუგვიანეს 2018 წლის 21 ნოემბრისა.
2. საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.csb.gov.ge) 2018 წლის 29 ოქტომბერს გამოქვეყნდეს კომისიაში განევრების პირობები დანართის შესაბამისად.
3. კომისიაში განევრების მსურველმა კანდიდატებმა წარმოადგინონ დანართით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბიუროს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ქარდავა